

კვირა, 7 აგვისტო, 1916 წ.

რედაქციის ადრანი:  
თფილისი, ოფლას ქუჩა, № 6.


ფასი 15 კაპ.

# მშვენიერი

იუმორისტ.  
ჟურნალი

# შატირაქი

№ 32



სვეკულიაცია

თფილისი, 7 აგვისტო 1916 წ.

როგორ გავუმკლავდეთ სიძვირისა და სპეკულიაციის შედეგად წარმოშობილი საკითხის აჩრდილი საზღაპრო სიძვირის. დაქინებით სდარაჯობს ჩვენი

უკუღმართი ცხოვრების გორიზონტს და თვალთაგან არა გვშორდება მისი ურცხვი და უმსგავსო სახე. ვინ იცის კიდევ რამდენი დღე, თვე და წლები გაივლის, ვიდრე ამ აჩრდილს ჩვენი დუხჭირი ცხოვრებისას ბოლო მოვლემოდეს და აღიგვებოდეს იგი გორიზონტიდან.

ამიტომაც გვმართებს ჩვენ მაგრათ ჩაეჭიდოთ ხელი ყოველგვარ გონივრულ აზრს, თუნდაც იგი მანდილოსანთაგან იყოს გამოთქმულ და გავაშუქოთ ყოველმხრივ ხალხისათვის გასაგებ და ხელმისაწვდომ ფორმებში.

ჩვენმა რედაქციამ აღთქმა დასდო პირველ მოწინავეში, რომ ეცდება იგი მისი მოწინავეს სიმოკლის შესახებ და დღემდე პირნათლათ ასრულებდა ამ დაპირებას, მაგრამ დღეს ჩვენს წინაშე დიდი აჩრდილი სდგას და მოგვხსენებთ „დიდს ფაფას დიდი სულის შებერვა უნდა“, ხოლო დიდს აჩრდილს დიდი გაშუქება.

ჩვენს წინაშე სძევს საფუძვლიანი შრომა ჩვენი ცნობილი პუბლიცისტი ქალის კეკელა ტკიპაძის ასულისა: „ბრძოლა საჭიროა“. ეს შრომა იმდენათ საყურადღებო, ღრმათ ნააზრვეი და რჩევა დარიგებებით მდიდარია, რომ ბადალი ჩვენს მწერლობაში არ მოეპოება. აი სწორეთ ამისათვის გავკადნიერთ დით და მივეცით ჩვენს თავს ნება, მოვიყვანოთ აქ მთავარი დებულებანი ქ-ნი კეკელა ტკიპაძის წერილისა და მით ცოტა მეტ ხანს შევიჩინოთ მკითხველთა ყურადღება.

მაშ უმჯობესია ვალაპარაკოთ თვით ავტორი, უნიკიერესი ქართველ ქალთა შორის ქ-ნი კეკელა. „— რა არის სიძვირე?

— სიძვირე არის საჭირო საქონელთა გაძვირება, ანუ უკეთ ვსთქვათ აწეულ ფასში გაყიდვა.

აი ამიტომ ისინი, ვინც მაზეზსა და შედეგს ზერეულათ უყურებენ და საგანს ძირებს არ უსინჯავენ, ყოველთვის შემცდარ დასკვნებს ასკვნიან და აფსურდზე გადაიან. ჩვენ შორს ვართ ამ ზერელური დასკვნებიდან და საგანს პირდაპირ პოპოკში ვუყურებთ.

მაშ რა იწვევს სიძვირეს? ცხადია, სიძვირეს იწვევს თვით საქონელი. ამიტომაც აშკარათ ვფიქნა-

ლმდეგებით ჩვენში გავრცელებულ აზრს, თითქო საქონლის გაძვირება ვაქარ-სპეკულიანტთა მიზეზით იყოს გამოწვეული. განა ვაქარი კაცი არ არის? იმასაც ყავს დედ-მამა, ცოლი და შვილი. ამგვართ თუ ჩვენი დებულება მართალია და სიძვირის უმთავრესი მიზეზი თვით საქონელია, ცხადია ჩვენი ძალღონეც სწორეთ აქეთ უნდა იყოს მიპყრობილი.

აშკარაა, როგორც დღე, უნდა მოისპოს მიზეზი და მოისპობა შედეგიც. განვილომა დღეებმა ამ მხრივ მკირედ მიგვახლოვა მიზანს. მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის ის ბედნიერი დღე, როცა სრულიად მოისპობა მიზეზი სიძვირისა და ჩვენი ქვეყნის გორიზონტს მოშორდება ის შავი აჩრდილი სიძვირისა, რომელიც დარაჯათ დასდგომია მის კეთილდღეობას.

მოსპეთ საქონელი, მოისპობა სიძვირეც! აი რას ვურჩევ მე ჩემს თანამემამულეთ. ჩვენ ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ყოველგვარ საქონელს, ყოველგვარ უმნიშვნელო ნივთსაც კი, ერთი სიტყვით ყველაფერს, რასაც ფასი აძევს, ან შეიძლება დაედოს.

ამიტომ:  
ა) მოისპოს და განადგურდეს ყოველგვარი ქირნახული, ნათესი, თუ უკვე მოწეული. მაგალითად: პური, ქერი, ღომი, სიმინდი, ფეტვი, ქვავი, ლობიო და სხ.

ბ) გაჩანადგდეს ბალები და ზერები, ბოსტნები და პლანტაციები.

გ) გაწყდეს ყოველგვარი შინაური საქონლები, როგორც ოთხფეხნი, ისე ფრთოსანნი.

დ) დაიწვას ყველა დუქნები, მაღაზიები, აფთიაქები, ქარხნები, ფაბრიკები, სახელოსნოები და სხვა მათ მაგვარი დაწესებულებანი.

ე) მოიშალოს რკინისა და საეტლო გზები, რათა უცხოელებმა ჩვენში საქონელი არ შემოაპარონ. ამგვართ, ხელუხლებელია მხოლოდ წყალი და ჰაერი“.

აღარ ვიცი რა უნდა დაუმატოს „უშმაკის მათრახის“ რედაქციამ ამ გარკვეულსა და ნათელ აზრს აქ ორი აზრის ქონება შეუძლებელიც არის:

არ იქნება საქონელი, აღარ იქნება არც სიძვირე. ნუთუ ამას კიდევ განმარტება სჭირია?! ჩვენ არ ვიცით რა თვალთ შეხედავენ ამ წინადადებას ისინი, ვინაც ჯერ არს მასზე ფიქრობდეს და ზრუნავდეს. ფიქრობთ ისინიც, იმ გზას აირჩევენ, რომელ-

ზედაც ასე გარკვევით უთითებს ჩვენი სახელოვანი პუბლიცისტი, ქ-ნი კეკელა ტკიპაძისა და თუ თითონ ამისათვის არა სცალიათ, სხვებს ხელს მიიწვ არ შეუშლიან.

თქვენ წარმოიდგინეთ ის ბედნიერი დღე, როცა საქართველოში არ იქნება არც ერთი ცალი საქონელი და სურსათ-სანოვაგე. აი მაშინ დადგება ჩვენში მშვიდობა და საინოვება. მაშინ მოედება ბოლო ამ თავაშვებულ სპეკულიაციასა და სიძვირეს.



# ჭრელი აგებები

## „კოზაკის“ გოდება.

გაზ. „საქართველოში“ მოთავსებულია ბ.ნ აბ. წულაძის (იგივე „კოზაკი“) საყურადღებო წერილი, სიძვირესთან ბრძოლის შესახებ. პატივცემული ავტორი სამართლიანად ჰგოდებს „სამუშტრო“ საქონელთა უზომოდ გაძვირების გამო და მცირე განსხვავებით თითქმის იზიარებს დღევანდელ ჩვენს მეთაურში გამოთქმულ დებულებებს ქ-ნი კეკელა ტკიპაძისას.

„ნუ შემრისხავთ სიმართლისათვის ბრძანებს ბ-ნი „კოზაკი“ (აბ. წულაძე); მაგრამ გარდა უმიზნობისა(??) სოფლელებიდან ვაჭრების დარბევა უსამართლობათ(???) მიმართა. ჩემგან და ჩემი ტაფის ამხანაგებისაგან კი ახია ორივე ჯურის ვაჭრები ქალაქელიც და სოფელიც დავარბიო.“ („საქართველო“, № 171.)

ქ-ნი კეკელა ტკიპაძეც სწორეთ ამ აზრისა არის. თუ დავარბევთ, ბარემ ყველა უნდა დავარბიოთ რომ ამით სიძვირეც მოისპოსო.

ღიახ, საჭიროა და ძლიერ საჭიროც ამ საკითხის შესახებ მიიწვ ერთ აზრს დავადგეთ და ერთის ძალით ვიმოქმედოთ. ჩვენ სინარულით მივეგებებით ყოველგვარ არა თუ „კოზაკთა“, თვით აქლემთა წერილებს ამ სიგანზე დაწერილს.

## სასიამოვნო ნიშანი

წირმოიდგინეთ, ამ აუწერელი სიძვირისა და სპეკულიაციის ხანაში აქა-იქ სასინარული ცნობაც გამოჩნდება ხოლმე და გულს სიამით ავსებს. მართლაც მთელი ქვეყანა სპეკულიატორი ხომ ვერ გახდება? და აი ჩვენს „საეაქრო სამრეწველო“ გაზეთს „საქართველოს“ მართლაც მოჰყავს ფრიად მნიშვნელოვანი და გამამხნევებელი ცნობა აბრეშუმის შესახებ:

„სააბრეშუმო სადგურის მიერ შეკრებილ ცნობების თანახმად ნუხის მაზრაში ამ ჟამად აბრეშუმის თესლი ფუთი, 38—43 მანეთი ფასობს. ევროპიული ჯიშისა 36—41 მანეთამდე, ხოლო იაპონურისა 18—22 მანეთამდე (გაზ. საქართველო № 170.)

განა ვის არ ახსოვს, რომ ჩვენებური ჩარჩები აბრეშუმის თესლს წინეთ, (ომის დაწყებამდე) მისხლობით ყიდდენ ხშირათ მისხალს მანეთად, ასე რომ ფუთი აბრეშუმის თესლი 3840 მანეთა ჯდებოდა. ამაზე ბევრით ნაკლებ არც თვით თფილისის სააბრეშუმო სადგური ყიდდა. შეიძლება ვიფიქროთ გაზეთი პარკს გულისხმობს თესლის მაგივრით, მაგრამ ისეთ „ვაჭარ მრეწველებს“ როგორც „საქართველოში“ სხედს, ასეთი შეცდომა არ მოუვიდოდა.

მახათი.



# ომი კველ საქართველოში

(„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით)

## ომის მიზეზი.

თანამედროვე ომის მიზეზების მკვლევარებს როცა კმა დაუჯეროს, ქუაზე შეიშლება. ერთის მაგივრათი-ათასი მიზეზი მოჰყავთ და ბოლოს კი არ იცი ვისი აზრი გაიზიარო. მაგალითად დღევანდელ ომის მიზეზათ ზოგი ნაციონალიზმს ასახელებს, ზოგი იმპერიალიზმს, ზოგი დინასტიურ ინტერესებს და ზოგი კიდევ რას. პირდაპირ ბაბილონის გოდოლია და არ იცი კაცმა საით ქმნა პირი.

ვერაფერ ამის მაგვარს ვერ ვხედავთ ძველ საქართველოში. აქ ომის მიზეზები ერთობ სადა და მარტივია, ყველასათვის გასაგები და ადვილათ შესათვისებელი. მოიგონეთ თუ რა პირობებში მოხდა ტარიელისა და ხატაველთა შორის ომის გამოცხადება და მაშინვე დამეთანხმებით ამაში. როგორც ვიცით ასმათის მიერ ფარდაგის აზიდნა და მოფარდაგებულზე მდგომ ტარიელის მიერ ნესტან-დარეჯანის შეყვარება ერთი იყო. ისიც ვიცით, რომ სიყვარულის პირველი ტალღა ისე ძლიერი გამოდგა, რომ ტარიელი წამსვე მიწაზე გაშხლართა, ის ტარიელი, რომელიც, მის ქმობილს ავთანდილს თუ დაეუჯერებთ, წიწილივით „ქკნახედა“ თავს ლომებს და ვეფხებს. აი რას ამბობს ამ გაშხლართის შესახებ თითონ ტარიელი: „დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისაო“. ამის შემდეგ ტარიელი კარგა ავად გახდა და ძლივს გადაარჩინეს მაშინდელმა ექიმებმა, რომელთაც ზედმიწევნით იცოდნენ მხოლოდ ორი რამ: სისხლის გაშვება და ტანში გასაფლარათებელი საშუალებები: საპონი და მისი ჯანი. ასეთი რადიკალური ექიმობის შემდეგ ტარიელი, რასაკვირველია, მორჩებოდა და ეს ასეც მოხდა. ახლად მოჯობინებული იყო, რომ ნესტან-დარეჯანისაგან სარშიყო წერილი მიიღო, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ჩვენი დროის ქალიშვილებივით ნესტანი ტარიელს სადმე ხის ძირში პაემანზე იწვევდა. იგი ჩვენებურ ქალებს როდი ვადა და ამიტომაც იყო, რომ სატრფოს მოსწერა:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი  
რა მიჯნურობა გგონია,  
სჯობს საყვარელსა უჩვენე  
საქმენი საგმირონია,  
ხატავეთს მყოფნი ყველანი  
ჩვენი სახარაჯონია,  
აწ მათი ჯაერი ჩვენზედა  
ჩვენგან რა დასათმონია“.

პროზით რომ გამოვსთქვათ აქ ნათქვამი, ნესტანი ურჩევს ტარიელს ომი გამოუტყხადოს ხატავეთს. რათა, რისთვის, რა დააშავა ამ ხალხმა? დიდი არაფერი: ინდოეთის მოხარკე ყოფილა და კიდევ უხდიათ ხარკი, მაგრამ გულში ცოტა არ იყოს უკმაყოფილო ყოფილან, ისე გაკადნიერებულა, რომ არ ყვარებია ბატონი და აი ამიტომ ომი მათაო, აცხადებს ნესტან-დარეჯანი, რომელსაც ერთობ მალე აუსრულდა სურვილი.

დაკვირვებული მკითხველი უკვე მიმხვდარია, რომ მე ნებსით თუ უნებლიეთ აქ თანამედროვე ომის მიზეზთა ბევრ მკვლევარივით ერთი სიყალბისებური რაღაც ჩავიდინე. საქმე იმაში გახლავთ, რომ ნესტან-დარეჯანისთვის ის კი არ იყო თავი და თავი მიზანი, რომ ხატაველნი დაეტუქსათ, არამედ ტარიელის ვაჟკაცობის გამოცდა, მის მიერ შესაფერი ეგზამენის დაქერა. უნდა ნესტანისთვის ეჩვენებინა საქმენი საგმირონი და ამის შემდეგ შეეძლო მისი შერთვა. ვსთქვათ ვერ ისახელა თავი, მაშინ ხომ ჩაჭრილი იქნებოდა ეგზამენში და ნესტანის ხელსაც დაკარგავდა.

მაშ ომის მიზეზი ესაა და არა სხვა რამე.

### დიკლომატია.

თანამედროვე სარდლების მდგომარეობა ერთობ ცუდია. ისინი იბრძვიან, სისხლს ღვრიან, ათი-ათასობით ჟღერენ თავისიანს და გარეშეს და ბოლოს კი ბრძოლის შედეგების გამომრკვევ-დამფასებელი და ამისდამიხედვით ნადავლის ამღები თუ გამცემი სულ სხვა პირებია—დიპლომატები. სარდალო, შენი საქმეა ბრძოლის ველზე ქუხილი, მტრის გაჟღერება, აწიოკება, აოხრება, სისხლის მორვევის დაყენება, ხოლო შენს ნამოქმედარს ქვეყნის საერთო ინტერესების მიხედვით ჩვენ დავაფასებთ, ჩვენ ავწონ-დავწონითო, — აი რას ეუბნებიან დღევანდელ სარდლებს დღევანდელი დიპლომატები. ასე რომ ძალიან ხშირათ ხდება ამნაირათ: სარდალი ომს მოიგებს, იგი დარწმუნებულია, რომ სამშობლოს ტერიტორია და სხვა ასეთი რამ შესძინა, მაგრამ სამშვიდობო მოლაპარაკების დროს ხედავს, რომ სულ სხვა პირებმა, რომელთაც თოფის ხმაკ კი არ გაუგონიათ, მოგებული ტერიტორიები ისევ მტერს მისცეს რაღაც მოსაზრების გამო და გამარჯვებული სარდალი უცებ დამარცხებული შეიქმნა. ასეთი მაგალითები ბევრია ისტორიაში. ისიც ხშირი მოვლენაა, რომ სარდალს დიპლომატები უბრძანებენ სწორეთ იქ გამართოს ბრძოლა, სადაც სარდლის აზრით შეუძლებელია დიპლომატები ამას პოლიტიკურის მოსაზრებით სხადიან და სარდლის სტრატეგიას როდი აქცევენ ყუ რადღებას, და ამის გამო სარდალიც ხშირად მარცხდება. ასე რომ ყველა ეს გამოჩენილი გენერლები და გენერალისიმუსები ძალიან ხშირათ ამ დიპლომატიის სათამაშოებია. ეს კარგად იციან ამათ და დი

ლომატიაც ჭირივით ეზიზღებათ და მას „კბილები ჩაქვეკვილ დოდო როკაპს“ ეძახიან.

მაგრამ ასე როდი იყო ძველ საქართველოში. მაშინდელი ჩვენი სარდლები ამ მხრივ პირდაპირ ბედნიერები იყვნენ და ბევრი დღევანდელი გენერალი ინატრებს მათ ბედს. დიპლომატიის სივერავე კარგად ჰქონდათ შეგნებული ჩვენს წინაპრებს და მათი ინსტიტუტი არც არსებობდა ჩვენში. ამ ვაჟბატონების როლს თითონ სარდლები ასრულებდნენ. გავსინჯოთ ფაქტები. ხატაველებთან ომის ატეხას ასე აგვიწერს ტარიელი:

„გავგზავნე კაცი ხატავეთს  
და წიგნი ჩემმაგიერი;  
მივწერე: „მეფე ინდოთა  
არსცა ღვთისაგან ძლიერი,  
მათი ერთგული გაძღების  
ყოველი სული მშიერი,  
ვინცა ურჩ იქმნეს, იქნების  
თავისა არ მადლიერი.  
ჩვენო ძმაო და პატრონო,  
თქვენ არა გავიმწარებით,  
ესე რა ნახოთ ბრძანება,  
აქამცა მოიარებით;  
თუ თქვენ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ,  
ზედა არ მოგეპარებით,  
სჯობს, რომა გვენახნე, თავისა  
სისხლით ნუ ეზიარებით“.

აი ამგვარი ულტიმატუმი გაუგზავნა ტარიელმა ხატავეთის მეფეს. თითონ ინდოეთის მეფე ფარსადანი კი აქ გვერღზე დგას და საქმეს ამირბარი აწარმოებს. მართალია ულტიმატუმის ასრულების ვადა არ განუსაზღვრავს ტარიელს—არ შეუთვლია: პასუხი 24 საათშია, მაგრამ ხატავეთი მაინც გულ-მაგრათ გამოეპასუხა ჩვენს გმირს:

„მოეწერა, რამაზ მეფე  
წიგნსა გიწერ ტარიელსა.  
გამიკვირდა რა ეწერა  
წიგნსა შენსა მონაწერსა!  
რა გვარაა თუ მანდა გეხმე,  
ვინ ვპატრონობ ბევრსა ერსა!  
ამის მეტსა ნულარ ვნახავ  
კვლავლა წიგნსა შენ მიერსა“.

და ამით დასრულდა ომის გამოცხადებაც, არც ელჩების გაწვევა-გამოწვევა მომხდარა, არც ტელეგრაფები შეუწუხებიათ, არც მანიფესტები გამოცხა-

დებულა, არც ერთი, არც მეორე. ასე კარგია, როცა დიპლომატია არ უშლის ხელს. ამის სარგებლიანობის შემდეგ თავში დავიანახავთ. ახლა კი ორიოდ სიტყვით შევნიშნავ, რომ ომის დაწყებისას ჩვენს მთავრობას ხალხის შინაურ ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ შექონდა. აი, მაგალითად, ისეთი, როგორც მოხდა საფრანგეთში, ინგლისში, ბელგიაში, იტალიაში. იქ ხალხს ბევრი რამ დაუთმეს და ზოგან სოციალისტებიც კი გახდნენ მინისტრათ. ვიმეორებ, არაფერი ამის მაგვარი ძველ საქართველოში არ ხდებოდა, იქ მაშინვე სამოქალაქო ზავი მყარდებოდა და არც თანამედროვე რუსეთის პროგრესული ბლოკი იყო საქირო, არც სამხედრო კომიტეტები, არც „ზემგორა“ და არც „სემგორა“;

### სამშვიდობო კონფერენცია.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი დროის სამშვიდობო კონფერენცია—დიპლომატებისთვის საომარი ასპარეზია; ტყვია-წამალი სიტყვაა; ზარბაზან-თოფი—პირი; სტრატეგია კი - სიცრუე და ორპირობა. მაგრამ ძველი ჩვენი სამშობლო ამგვარ უბედურობასაც აშორებული იყო. გადაშალეთ „ვეფხისტყაოსნის“ 75 გვერდი დ. კარიჭაშვილის გამოცემისა და თქვენს თვალწინ დაიხატება ზიჩის მიერ განსახიერებული ძველი საქართველოს სამშვიდობო კონფერენცია.

„განიბარდის“ ქულიან მსახურებს (ალბათ კახელები იქნებოდნენ) მხარზე შესმული ყავთ ინდოეთის მეფე, მის წინაშე შეპყრობილი რამაზ მეფე ქედმოხრილი დგას, იქვეა ხელ-დაკოდილი ტარიელი, რომელიც პატეტიურათ ხელის გაშლით ომის დასრულების შესახებ მოხსენებას უკეთებს თავის მბრძანებელს; ირგვლივ ჩანან ჯარები, დროშა.

მეფეს მეფე, რასაკვირველია, მეფურათ მოექცა, აბა ამისთანობაში ქართველებს ვინ დასძრახავდა: „მას მეფესა ხატაველსა უმასპინძლა, უალერსა, ჟამიერად უბრძანებდის საუბარსა მათსაფერსა“.

მაგრამ, როცა სამშვიდობო კონფერენციას ის იყო უნდა ეთქვა თავის უკანასკნელი სიტყვა—როგორ მოქცეოდნენ რამაზს და მის სახელმწიფოს,—რომ პირველი როლი ისევ ტარიელს დაუბრუნდა:

„ცისკრად მიხმეს, მიბრძანებდეს  
მე სიტყვასა ლომობიერსა:  
შეუნდობო ხატაველსა  
მას აქამდის შენამტერსა?“

ტარიელმაც, რასაკვირველია, სულგრძელობა  
გამოიჩინა და წარმოსთქვა:

„შევკადრე: ღმერთი ვინათგან  
შეუნდობს შეცოდებულსა,  
თქვენცა უყავით წყალობა  
მას ღონე გაცუდებულსა“.

მეფეს მეტი რაღა გზა ჰქონდა--უნდა ეპატიე-  
ბია რამაზისთვის ყველაფერი და ასეც მოიქცა, მხო-  
ლოთ ეს კია, რომ ტარიელის მოთხოვნითვე კონ-  
ტრიბუცია კი საკმაოდ დაადეს:

„ხარაჯა დასდევს, შეჰკვეთეს  
ღრაკანი ასჯერ ასია,  
კვლავ ხატაური ათასი  
სხვა სტავრა, სხვა ატლასია“.

როგორც ხედავთ ხელის ჭუჭყის საქმეში არც  
მეფე მოქცეულა მეფურად და არც ტარიელი გმი-  
რულათ,--საკმაოდ აივსეს ხაზინები, მაგრამ უმად-  
ლოს ღმერთს რამაზმა, რომ მის სამეფოს სრული  
ანექსია არ უყვეს და ის კი ხაროში არ მიბრძანეს.

ბევრი დარწმუნებულია, რომ დღევანდელი ომი  
ვიღჭელმ მემორისტის ისე გათავდება, როგორც რა-  
მაზ მეფეს დაემართა; გადაწყვეტილია, რომ ვიღჭ-  
ელში კისერზე უღლით მიიყვანონ

ავ-  
სტრია-უნგრეთსაც ზედ მიაყოლებენ, მაგრამ ეს კი  
არაფერს იცის თუ თითონ იმპერატორს როგორ მო-  
ექცევა დიპლომატია, რომელიც, როგორც ვიცით,  
ახლანდელ სამშვიდობო კონფერენციებზე სრული  
ბატონია და თითონ სარდლებს კი არას კითხავს.  
მებრალეებიან ახლანდელი სარდლები, რომ ტარიე-  
ლისებურ სულგრძელობას ვიღჭელმისადმი ქვეყანას  
ვერ დაანახებენ.

### მოზილიზაცია.

ძველმა ჩვენმა სამშობლომ არც ტელეგრაფი  
იცოდა და არც რკინის გზები, მაგრამ ფეხის მოძ-  
რაობა ყველაფრის მაგნიერობას მშვენივრათ სწევდა

და ჯარების მოზილიზაციას გერმანელებზე სწრაფა-  
თაც კი ადგენდენ.

ხატავეთის მეფის წერილმა აშკარათ დაარწმუნ-  
ნა ტარიელი, რომ ომი აუცილებელი იყო, ამიტო-  
მაცო, მოგვითხრობს იგი:

ვუბრძანე წვევა ლაშქართა,  
გავგზავნე მარზაზანია;  
იგი ვარსკვლავთა ურიცხვი  
მოკრბეს ინდოთა სპანია,  
შორით და ახლოს ყველანი  
მართ ჩემკენ მონასხპანია;  
ერთობ აივსო ლაშქართა  
მინდორი, კლდე, კაპანია.

ესეც ფაქტათ უნდა ჩაითვალოს, რომ მაშინ-  
დელ საქართველოს არ სცოდნია, თუ რა არის დე-  
ზერტორობა და ყველა ერთგულათ მიდიოდა ბრძო-  
ლის ველისკენ. თორემ ტარიელი როდი იტყოდა:

„ფიცხლა მოუდეს, არ ექნათ  
მათ ხანდაზგულობაო“.

თითონ ჯარების ორგანიზაცია რომ შესანიშნა-  
ვი ყოფილა, ამას ისევ ტარიელი გვეუბნება:

„აღლოში ვნახე, მეფეთა  
ლაშქართა მოკაზმულობა,  
სიჩაუქე და სიკეთე,  
კეკლუკათ დარაზმულობა,  
ტაიქთა მათთა სიმაღე,  
აბჯრისა ხვარაზულობა“.

აქედან იმის გაგებაც შეგვიძლია, თუ რა და  
რა დარგის ჯარები იყო ძველათ ჩვენში. ტაიქების  
ხსენებით დამტკიცებულია, რომ კავალერია გყყოლია,  
მასთან ერთობ სწრაფი და ხვარაზმოდან მოტანილ  
იარაღით შემკობილი. გყყოლია, რასაკვირველია,  
ქვეითი ჯარიც, მაგრამ არტილერიაზე არაფერი ის-  
მის. შეიძლება აქ ვინმემ რაიმე შემნიშნოს, მაგრამ  
თუ ისა დასაჯერებელი, რომ ჩვენ ქრისტიანობა  
ოთხი საუკუნით ადრე მივიღეთ ქრისტიანობა  
ამბობს ერთი ჩვენი პატრიოტი ხანდიხან თურბე  
რატომ არ შეიძლებოდა, რომ ჩვენ მაშინ არტილ-  
რია გექონოდა? დაასრულა რა ტარიელმა ასე სამა  
გალითოდ ჯარების მოზილიზაცია და გასინჯვა, ხე  
ლათ ეკვეთა მტერს:


„ავმართე დროშა მეფისა,  
აღმითა წითელ შავითა,  
დედასა ვბრძანე მამართვა  
ლაშქრითა უთვალავითა“-ო.

ამბობს იგი. დამეთანხმებით, რომ ამაზე მეტის სისწრაფით თითონ გერმანელებიც კი არ დაძგერებიან შარშანწინ ფრანგებს.

ყველაფერი ეს, ვიმეორებ აშკარათ ამტკიცებს, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ძალიან განვითარებული ყოფილა და ომიანობის საქმეც შესანიშნავათ გვექონია მოწყობილი.

(შემდეგი იქნება).

ვ. მალაქიაშვილი.



ოხ, კოლო-კოლო...

ვა, ვა: რამდენი უსაქმო ხალხია დედამიწის ზურგზე! კაცო, ქვეყანა იქცევა, მილიონობით ხალხი იყოლებს, ღამის არის სიმშლით დავეწყდეთ და ეს მოდნის მამგონები მაინც თავისას არ იშლიან! ქრისტიანო, რა დროს მოდნაა, როცა პურის ფულის ნახარჯი ვერ გამისტუმრებია. სამი თვეა პურის ფული არ მიმიცია ორმოცდა ათ ლის ტიანი პურის კნიშკა ისეა ავსებული ციფრებით, გულით რომ გინდოდეს ერთ ედინიცას ვერსად ჩაურჭობ.

ჩემი დედაკაცი კი მამდგომია და მეგებნება:

— „გინდა თუ არა კოლო-კოლოს კაბა შაში კერე“-ო

რა ვქნა ღმერთმანი არ ვიცი! არ შაუკერო, ვაი ჩები ბრალი, ვინ იცის პასლედნი ხელიც აღარ ამაცატუნებინოს ლოყაზე, თორემ კრუპნი არში-ყოხას ვილა ჩივის. შაუკერო მოდნები და კულამდის გამძვრა ტყავი რაღა! არ ვიცი ქრისტეს მადლმა საით გადავარდე, თავი რომ არ შენანებოდეს უფლის მადლმა მეც ერთი ახალ-მოდნურათ კარბოლცკი კისლატას დავლევდი და მოვშორდებოდი ამ აჯაბსანდლივით არეულ წუთი სოფელს. არა, ეს კოლო-კოლოა, თუ ვილაც ეშმაკი ნამდვილათ შამოჩენილია რაღა! კაცო, რაღა ამ მატერიის სიძვირეში გამაიგონა ეს განიერი კაბების როცა მატერია იაფი იყო, მაშინ ისეთი ვიწრო კაბები იყო მოდამი, რომ სულ სამი ოთხი არშინით იოლათ წავიდოდა ადამიანი. ეხლა კი როცა ყველაფერს ცეცხლი ეკიდება ისეთი მოდნა გამოვიდა რომ ორი


თოფი მატერიაც არას ვიშველის! მერე იმ სიგანოა ეს კოლო-კოლოს კაბა რომ პალატკათ გააკეთო მთელი ბათალიონი ჯარი მოთავსდება შიგ თავისი არტილერიით, პულამეტრებით და აბოზითა! მერე კაცო, ერთი ეტაჟა მაინც იყოს კიდენ გაუძლებდა კაცი. რომ დადგამენ ზევიდან ეტაროი ეტაჟას, ტრეტის, ჩეთვერთის... გეგონება მელიქაზარიან-ცის დვარეციაო! სადაც სამართალია ის შანტეკლორის კაბები ეხლა უნდა იყოს მოდამი ამ მატერიის სიძვირეში.

აფსუსს, ჩემო ფეფელა, რომ შანტეკლორის კაბას ჩაიცომდა და ურის ბოხჩასავით გამოეკრობოდა შიგა, გული სულ ტაკი-ტუქს დამიწყებდა ხოლმე. სასიამოვნო შასახედიც იყო, ფულიც ცოტა ჯდებოდა და დედაკაციც დაბმული იყო და შიში არაფრისა მქონდა. ისე მქონდა ბორკილივით გაყრილი ფეხებში ის კაბა, რომ გულით რომ სდომებოდა ორ მტკაველს ვერ გადახტებოდა და მართალი გითხრათ არხენათაც ვრყივი. ეხლა არ ვიცი ღმერთმანი ამოტოლა მატერიის დაკარგვა ვიჩივლო, თუ დედაკაცის! ეს ახალი მოდნის კაბა რომ შაუკერო, ხომ მეც კულში უნდა ვსდიო. ხელათ გამისხლტება ხელიდან, მე შენ გითხრა კაბამ არ დააპკოლოს აი! თოთხმეტი ბარდანა რომ დააწყო მატყლისა, მაინც გადააბოტებს ქრისტეს მადლმა! არ ვიცი ღმერთმანი როგორ გაუძლო ამ დროებას!

მერე ეს პირდალი ჩემი ფეფელა ისეთი ეშხიანი რამ არის, რომ არ მინდა გავაჯავრო. იმანაც იცის ჩემი სლაბი ხარაქტირი, იცის რომ რაც უნდა გაუჯავრდე ახში ბოლოს მაინც გაუცინებ და რასაც უნდა შერება რაღა! იმ დღეს ერთი ისეთნაირათ შამიკრა ის ვიშერივით თვალეები, რომ ჩემ გუნებაში ვთქვი: ყველაფერი შენი ქირის სანაცვლო იყოს მეთქი. ვეებნები: ფეფელიჯან, ალბათ მოდნი კაბის ფული გინდა, რომ ასე ასობენათ მეთქი.

— „ხეჩოჯან, კაბის ზაკაზი მიმიცია და დასახსნელი ფული მომეცია“. ისეთ ნაირათ მითხრა, რომ ატკაზი ვეღარ უთხარ. კაბის ფული რომ მივეცი ერთი კადეც შამომეხვია კისერზედა, შუბლზე ხელი გადამისო, ულვაშები ზევით ამიგრინა და ყურში მეებნება:— „ეს კაბის ფული, მაგრამ შლაპისას არ მიძღვეო“. ძალიან გამიჭირდა მაგრამ ამოვიდე და შლაპის ფულიც მივეცი. ფული იგდო თუ არა ხელში მამენტალნათ გაქუსლა ბაზარში.

# როგორ ესეით გავ-



პატარა ვანო. დედა ამბობდა: ძალუა ჩემმა, ელენემ მთელს ოჯახს თავი მოსჭრაო.

წასვლისას ერთი კიდევ მომიხედა, შამამციწა, და ისე დამწვარ-დახრუკული დამტოვა სახლში, ვზივარ იდიოტივით პირდაღებული და სადა ვარ არ ვიცი! დიდხანს დავჩჩი ისე ხახა დაღებული. ბოლოს გონს რომ მოველი ავდექი და გარეთ გამოველი, მაგრამ რა დავინახე არა მკითხავა! გამოპრანჭულა ჩემი ფეფელი ახალ მოდის კაბაში და მოდის, მაგრამ არე-მარე თან მიაქვს. ახლა შლაპას არ იკითხავთ! შლაპა უყიდნია იმისთანა, რომ უფლის მადლმა კინალამ გავვიყდი რომ შეხებდე, კაცო, იმ სიმაღლო პერო ჩაურკვია შიგა, რომ ტიფლისკი

სტანციის ზელიონი დისკის სტოლბა ღმერთმა შარცხინოს იმასთან! ოთახის კარებს რომ მოადგა როგორც უღლიანი მაშკა ღორი ისე გაიხიდა კარებში! მიყვირის:—„არიქა, ხეჩო, მიშველეო“. მიევარდი, მოვხადე შლაპა და ისე წაქცეული შამოვიტანე სახლში, თორემ ის რა კარებში გაიმართებოდა! ახლა აღარ იტყვიტ როგორ გაწიწმატა ჩემი ფეფელი! ყვირის:—„გინდა თუ არა ეხლავე ააყენეო, თორემ შლაპა გაფუტლებო“.—ვეებნები: ქრისტიანო, როგორ ავაყენო, რომ ამ ვერანა პეროს ხუთი ვერსი სიმაღლე აქვს მეთქი. კიდევ კარგი რომ

# შვიბს დიდების ლაპარაკი



პატარა დათიკო. საწყალი მამა! თურმე მას დედა ჩემზე გული გაუტყდა.

ფეჩის ტრუბის ნახვრეტი ვნახე და იქ მივაცემინე თავი, თორემ ისე იყო საქმე, რომ ჰერი უნდა ამეხადა რაღა! ვეებნები: დედაკაცო, ეს რა არის, შლაპაა თუ ტრამვის სტოლბაა მეთქი! ან ეს კაბა რომ გაგიშვია დარჩუა ყსაბის შარვალცივით და ზევიდან ეტაყები წამოგიდგამს რა, პრავოსლავნი სენარიია, თუ დვორიანსკი უჩილიცა მეთქი.-- „შენრა იცი ეს ახალი მოდაა—კოლოკოლოვო“, ვა, დავიწერე პირჯვარი და გავშტერდი რაღა! კაცო, კოლოკოლი მე რუსულათ ზარი გამოგონია და არა კაბა! არა, ღვთის წინაშე ნიჟნი ეტაჟა კაბისა კი

ჭგავს კოლოკოლს ისეა გაგანვიგრებული ბოლოში. არა, ნამდვილათ ვილაცა დამწკი კავალერი იქნება ამისი მამგონი არ უნდა ლაპარაკი. ახ, ერთი უნდა ვნახო სადმე ის ვილაც კოლოკოლოა, რომ დავეყები ბოლო-ბოლო და დაუწყებ დაზელას ზევით-ზევით, ვინ იცის სანამ ზატოლოკამდე ავიდე, მინამ ზავეშჩანია დავაწერინო იმ არამზადს იმასა!..

გოგია.


## მესტვირული

მკითხვენი: რათ ვაზარმადი,  
რათ გაიშავე პირიო,  
რისთვის მიაგდე ამდენს ხანს  
შენი ქამანჩა სტვირიო?  
რატომ ქმენ მტრების გულისა  
მოყვასთა ვასაკვირიო  
დღეს უნდა შემოძახება,  
დღეს გვადგას ვასაკვირიო.

შრომის ქარ ცეცხლმა დამიდლო  
მან დამიჩლოუნგა ყურები,  
და რაქქნა, ხშირათ ვერ მნახოთ,  
ნურავინ დამემდურები.  
ან რაგიმდეროთ, როდესაც  
არ ვხედავ ვასახარელსა,

ქალების სახით ბნელი ბრბო  
სძარცვენ არბევენ ქალაქებს  
და მეთაურნი, დემონებრ  
განში ხარხარებს ლაქ-ლაქებს,  
ქურდ ბაცაცებიც ამდგარან,  
დამრწიან კარის კარზედა,  
გვერდს უდგას ხელის გამცლელნი  
ხელაღებული თავზედა,  
თუ გამოქექე გმირები,  
მაგრათ აუწვი კუდია,  
მუქარით დაგდევს ქუჩაში,  
ხელის შემწყობი, ქურდია.  
მაგრამ ციც, შესდექ ავსულნო,  
ქვეყნისა ნაძირალეზო,  
ხალხი ქუხს რისხვით თქვენზედა  
საზიზლარ შესაბრალეზო.  
მისთვის მოვმართე დროული  
ჩემი ქამანჩა სტვირია,  
მართალთა ღმერთი აღსდგება  
მხოლოდ თქვენს საქმეს ვსტირია. —

შხანკოლა.



## ჩემი ცოლი ბახმაროზე.

(გურული სცენა).

მოაწია ივანობისთვის თუთხმეტმა თუ არა და,  
ააბზუა ჩემმა ფანქვალთამ ტუნჩი ბახმაროზე წასავა-  
ლად.. მისდღემში ტკბილათ არ დამლაპარაკებია  
და ამ ივანობისთვის რაცხა ფონცქობაც დიწყო,  
ერთი ღერი გაღუნული სიტყვა არ უთქვამს. მანა-  
მდი ყანიდან შინ მოსვლა მეზარებოდა, კოფიან  
ძალღსავით შამომიკლაპუნებდა. თურმე ბახმაროზე  
წასვლა უნდა და თავს მიხოვს. ბოლოს მითხრა:  
„ბეჩა, რა უსაშველო სიტყვები დეიწყო! წროულს  
რა მეშველება არ ვიცო“. ქე შევატყვე, რეიზა  
ტიოდა გული, მარა მეც ვანზე გუუგდე სიტყვა.

— სიტყვები კი არის უსაშველო, მარა რამ  
წავგართვა სუფსე, ჩაწევი და იღანღალე შით, როცა  
დაგცხეს.

— სუფსა კი არა, მალარიეს ციება მაქ ტანში  
და ჰაერზე უნდა გამიშვა საცხა..

— ჰაერი ჩვენს ეზოშიც კაია, წამოყელი  
ნიგვისი ძირში და აქირქილებიე სიოს, ისე ვაგრი-  
ლდები, რავარც გინახავს საღესი ქვაი.

ბოლოს გამიტყდა და მითხრა:

— ბახმაროზე მივა ცაი და ქვეყანა და ერთი მეც  
რომ გამიშვა და დამანახო პაწა ჰიერი, რა იქნება  
ამით, ახლა მაინც პაწა თუთუნის ფულიც ქე ეი-  
ლე, თვარა სხვა დროში როის ვაწუნებდი?

— თუთუნის ფული თუ ევილე ათასი შამფუ-  
რი მაქ გარტობილი ყოველ კერდიდან და იმის გა-  
სასტუმრებლათ არ მეყოფა.

— მე ვისზე ნაკლები ვარ, ღმერთო კი მომკა-  
ლი? ქვეყანა ბახმაროზე მივა და მე სახლში რა  
მომაცდიებს? რავა, ანთიმოზეს ბუყუტიე, პეტრიეს  
ფეფეკელე, ივანიკეს სუნღუხტიე რეით მჯობს მე—  
თვალათ, ტანათ, თუ ავათმყოფობით?

— ავათმყოფობა კი გეყოფა, სხვაი თქვი თვა-  
რა.

გასარსალა ფეხი. აღარ მომცა საშველი. დე-  
იქლარჩა თვალეზი, იზღუქუნა და იზღუქუნა სანამ-  
დი არ დავპირდი წავიყვან მეთქი.

— რაცხა იქნება, ვეინდი ტყავს პირზე, კარ-  
გი, წავიყვან, მარა, რუმ არა კაცი მივა ჩვენი სოფ-  
ლიდან?— შენ ვისთან დადგები ოთახში, მარტუე,  
თუ მე მცალია იქინე საღაჩოთ?

— შენ ნუ გენადვლებ! მგზავრების შონა ჩემი საქმე იყოს.

დაწყევლოს ღმერთმა, ჩემს ჯინზე თელი ჩვენი სოფელი ეობარგა ბახმაროზე, თვარა ეგება ქე დემებრუნებია. ჩემი ცოლი კილომ ვერ დამძღვედამარა იმისანე სიტყვა მითხრა იმ წყეულმა, რომ გამწუა წელში:

— რავა, ზაპასნების ცოლები მივა ბახმაროზე და შენ აგერ მადგიხარ თავზე დელიყანტივით ქმარიო“. რას ვიზამდი, ვიქირავე ცხენი მამასისხლათ, კაი ტლიკვი თუმანი გადამახთიეს. სანამდი არ მივეცი, ცხენი არ შეკაზმეს... ქალი წინ დლით გუშუმი ნაბელლაგში მჟავე წყალზე, (იმას ამოუშეავედა თვალეზი ღვთის მადლით) მე მეორე დღეს შევეკურტნე ცხენი, დავაყარე ბარგი-ბარხანა, კოკოპე კაპქანე, საბანი, ერთი სამი ფუთი ქადის ფქვილი, რაცხა რაცხა ხიქა-პაქუები და გუუყევი მეორე დღეს. შუუდექი ნაბელლაგის აღმართს, გადავადევი კურტანზე პალტო, მოგვიდე ცხენს აღვირში ხელი, გუუძევი წინ, ვწიწავ და მივათრევე, უკან გუხედავთ. გევიარე კაი სამი ვერსი. მივიხედე, სადლა ჩემი პალტო, გადავარდნილა. მივაბი ცხენი წყავის ბოლზე. დავბრუნდი უკან, ვეძებე მარა, შენც არ მომიკვტე, სად არის? აგი ქე გუუქარებია ვინცხას... დავბრუნდი ისევე, მოგხსენი ცხენი და წვევდი... მივედი ნაბელლაგის აბანოზე, ჩემი ამომგდები ფანქვალე ქე დამხვდა იქინა, მივაწყევლე და მივადუგე, შენ დამაქციე კაცი, ხომ დემეკარგა სამ თუმნიანი პალტო მეთქინ.

— შენ რომ შტერი იყო რა ჩემი ბრალიაო, მითხრა.

შამუასკტი გულს, ამ ხალხში რას ვეტყოდი. იმ ღამეს იქინე დავრჩი, მორე დილას შევაჯინე დაქვირთულ ცხენზე ჩემი კნენა და შეუყევით ზევით ვიღრაკუნეთ, ვიღრაკუნეთ და რავარცხა იყო, ავაწიეთ საღამოს ბახმაროზე... კაი, დაღამებული არ იყო. ვიწანწალე, ეგება სახლი ვიშონო სამე მეთქინ, მარა, შენც არ მომიკვტე, ისე იყო ყველა სახლები გაქედლილი დაჩნიკებით, რომ ცხვირს ვერ შეიტანდი შით. იმ ღამეს დავრჩით გარეთ. ნაძვის ძირში გავათიეთ ღამე. მეორე დღეს რავარც იქნა შევეზიარე ჩვენს ფეფიკელას ოთახში, დავტე ქალი, დუუტე ფული, ვუთხარი: რადამც შენი არ მოიშალე და ფული ქე დამახარჯე, ქე მაინც წეყენე აგი ჰაერი, ერთი ქალს დემსგავსე, მოვკტი კა-

ცი შენი მზერით, აფრასავით რომ დაგიყუდებია მაგი ცხვირი ეგება გასუქთე მეთქინ. საქმელი არ მიიკლო, ფქვილი ქე გაქ, აცხვე ქალი, პური და ხორცი ქე იყიდე და შენი ხეფსი გეიკეთე და ქე ქამე, მე აფერს გთხოვ მეთქინ... წვევდი სახლში...

დევწყე ოჯახობა, ვაპურე ქათმები, ღორები ძროხები, ვხვეტე სახლი, ვწველე ძროხა, ყანებიზა ვილა მიიცალა, დემელუბა ყანები... დავტე ოჯახი და წიწილ-ქათმები ქორმა ჩამეირიგა. გვეიდა თუთხმეტი დღეი და მომივიდა წერილი ჩემი ფანქვალეიდან: „ჩემო სულის მკვიქა მსხლო, გოგია, რომ მნახო, ვერ მიცნობ, ისე ჩავბურღულდი, მხოლოდ ქადის ფქვილი ქე დემელია, ისეთი აპეტიტის მადა მაქ, რომ გადაირევი. მაქანაი რომ ერთ საინ ღობიას ვერ მოვბოცდი ისე კი არ ვარ, ახლა სამი ოყა საქმელი არ მყოფნის, არიქა მომაშველე ფქვილი და ფული, — პურს აქანე ველარ ვშოულობთ. გირვანქა ნახევიარის მეტს კაცი არ მოგყიდის, იმის გულიზა შუა დღემდი უნდა უყურყუტო ვეჩერედს ფურენსან და აგიც ცომი პურია“.

დავფატურდი, ვიყიდე კილომ ფქვილი და ავთარაქე ბახმაროზე, მეგონა მართლა, გასუქებული დამხვდებოდა ქალი, შენც არ მომიკვტე, ჯოჯოხეთის მაშხალას დამსგავსებია იგი შეჩვენებული. თლად დამძღვებია გიდელსავით ცხვირი, დაყობა უკან ცხვირს და ქეა, წინ ცხვირი მიდის და უკან იგი მისდევს. რა ღმერთი გაგიწყლა შენ შეჩვენებულო მეთქინ. რაიო და, აქანე აფერი პარიატა არ არის. პურს შენს დროზე ვერ იშონი და ხორცს. კაცი არ მოგასვენებს და ძროხებო. იგი ქვლი ნახევიარი სხვას ვასესხე, ისე დემსიენო. რას მატყუებდი აბა მეთქინ... — ბეზა, ასე აბა, ხომ ვერ წამულ სახლში, ეგება აწი მევიხედო პაწაო. — ვთქვი, მოდი დავრჩები ერთ დღე და ღამეს და გევეცნობი, რაცხა ამბავი აქანეა მეთქინ... ვევიარე ტრიანტის წინ. როგორც ქინქველები ირევიან ამ ტვერში ხალხი. არის ერთი ვაი-უშველგებელი. ყოველგან ძროხის ფუნა. დაჩნიკებთან ძროხებიც სვირნობდენ. დაღამდება თუ არა და შამოცივა ოდას ქვეშ ძროხები და უფხაკუნებენ ზრუგს და რა დავაძინებს. სულ თლად აყროლებულა უხვირო ფეხის ადგილებით ყორიფელი. — წამოდი შინ თვარა, მოკვტები შენ უბედურო ფანქვალა მეთქინ. — არ დამიჯერა... დუუტე ყოლიფერი. აგერ გუშხამ კიდევ გუუზზა-

ნე ფქვილი და რაცხა პრავიზია. აგი ოჯახი ქე დემექცა, ყანებს ქე მომატინა. ჩემი არ დეიჯერა, ვნახავ მაინც რაფერ ჩაბურღულულებული ჩამოვა სახლში.

ლუკაიეს ოზოლი.



ფოთი.

(ცოდვილთასა).

დიდი ხანია, ფოთი ცოდვებში არ მიმხელია. ჯოჯოხეთი კი ამას სხვაფერ ხსნის, კიდევ სწყენია. „აღბათ გასწორდენ, არავინ სჩადის ბოროტებასო, ჩვენ ჩამოგვწორდენ, დემოორჩილენ ქრისტეს მცნებასო“.

უსაფუძვლოა ჯოჯოხეთისა მავგარი შიში. უთვალავია დამნაშავეთა გვარი და ჯიში. გვიან მხილებს ბრალი ეშმაკთან რაც უნდა მქონდეს, ნურავინ ფიქრობს ჯოჯოხეთს აცდეს, ცოდვილი ცხონდეს.

„თვალთ მაქცმა“ ახლა წარმომიდგინა ცოდვილთასია.

რალა ცალ-ცალკე, ერთად ჩამოყვეთ უკეთესია. პირველი არის ვინმე მეკობრე\*) ტელეგინიო ბურის და შაქრის ამოიყარა იმან ჟინიო.

ზღვიდან თუ რამე შამოვიდა სანოვაგეო, პირში გაივლო და ჩაილოკა კიდევ ბაგეო.

შეუღარებლათ შეუსწავლია ჩარჩობანაო, თავის ბედელში კალოთ აქცია სხვისი ყანაო.

ამ საქმეს როცა „შტატის გარეშე“ აწარმოებდა, იქვი არ არის „ტავარიშჩებსაც“ ვინმეს ჰპოვებდა.

როგორც ირკვევა ეს „ჯიშალები“ იყო ორიო. ხელობით ერთნი, უფლებით არა თანასწორიო.

\*) მეკობრე ზღვის ყაჩაღი.


უფრო შაქარით ჩაიტკბარუნეს ამათ პირიო, მარა ორთავეს ერთად მიადგა გასაქირიო. ორთავეს ერთად ააკრევენეს მძიმე ბარგიო, უშაქრო ხალხი გაიძახოდა: „ძლიერ კარგიო!“

თვით ტელეგინიც აღრე მოელის სულთათანასა, როგორც „ქათამი ჩხრეკით წააწყდა ერთხელ დანასა.“

დარჩა „უთვალათ“ კანტორის წვრილი ჩარჩუკებიო, შაქრის და ფქვილის ბატონ-პატრონი ეს ვირთხებიო.

დათარეშობენ თავიანთ გათხრილ სოროებითო, და ჯაურ\*\*\*) კატებს ინადირებენ ჯერე ქებითო. დამნაშავეთა საფლავი გახდა აგი შაქარი ჯერ უნახავი ძაღლის თავები კიდევ აქ არი.

ბუტუნა.



საჩივართა უულაგა

ალექსანდრ მიხაილოვიჩი კარგ გუნებაზე იყო. ისეთს კარგს გუნებაზე, რომ მთელი დილის განმავლობაში ერთი ტრამვაის მოსამსახურეც არ ჩამოვუყენებია, თუნდაც დროებით, სამსახურიდან.

გაიარ-გამოიარა თავის კაბინეტში, გადაჰხედა ფანჯრიდან ხალხით სავსე ერევენის მოედანს და ზარი დააწკარუნა.

— რას მიბრძანებ ალა-ჯან-შემოიპარა ოთახში მსახური.

— დარჩო, იცი რა გითხრა, ერთი მოედანზე გადი ტრამვაი გააჩერე, და იქ ყუთი ჰკილია, Ящикъ для жалобъ и заявлении“, ჩამოხსენი და აქ ამაარბენინე.

მცისვე ასრულებულ იქმნა ალექსანდრ მიხაილოვიჩის ბრძანება და მის საწერ მაგიდაზე წამოსკუბდა ზემოხსენებული ყუთი.

\*\*) ჯაური—ხვადი მებრძოლი.

— აბა, გახსენი!

პირველი საჩივარი ასეთი შინაარსისა იყო:

— „შეუნდე მათ უფალო, რათა არა იციან, რასა იქმოდინა“. ღამე მატარებლით ჩამოველ და ჩავჯექ ტრამვაის ვაგონში; ჩამოიარა ჭაბუკმა ნალაროსანმა და მომთხოვა მაგიერათ შაურისა ერთისა შაური სამი, და იყო ნომერი ამა ჭაბუკისა ორმოცი და ხუთი. ბლადოჩინი იოანე ბეთანული.

ალექსანდრ მიხაილოვიჩმა ამ საჩივრის სამჯერ გადაკითხვის შემდეგ გაიგო ვითარება საქისა და შემდეგი მსჯავრი დასდო:

ტრამვაის „დირექტორს. კანდუქტორი № მე 45 ჩამოყენებული იქმნეს ორი დღით სამსახურიდან, რადგან სამი შაური გამოართვა მამა იოანეს ბილეთის საფასურად და არა აბაზი ესე იგი შაური ბილეთის ძველი საფასური და სამი შაური ახალი“.

რა ცუდია რომ იცოდეთ, აღელვება ალექსანდრ მიხაილოვიჩის ჯანმრთელობისათვის! აი, ენლა, იგი აღელდა, მაგრამ მაინც მხნედ განაგრძობს საქმიანობას.

„მე კნიაზ მუშტუკიძე ამით ვაცხადებ, რომ თქვენს ტრამვაიზე დიდი უწყობა სუფევს. ვილაც ოხერი მენახშირე მომიჯდა გვერდით და ჩემი თეთრი შალის ჩოხა სულ მთლად შავად გამოთხვარა. ნომერი ტრამვაისა იყო ას ცამეტი, ვატმანისა— ოთხმოცდა რვა და კონდუქტორისა ოცდა ერთი“.

ალექსანდრ მიხაილოვიჩმა წამსვე დასდო განაჩენი „ტრამვაის დირექტორს“. დაუყონებლივ გამოორიცხეთ სამსახურიდან კონდუქტორი № 21, რადგან მან მენახშირე სკამზე დააჯინა და შაურის გამორთმევისთანავე ვაგონიდან არ გადმოაგდო. ვატმანი № 88 ორი კვირით საკანში დაამწყვდიეთ, რადგან ვაგონი არ გააჩერა, როდესაც ასეთი უწყობა ხდებოდა მასზე, ვაგონი № 133 ორმოცდა ათი როზგის დაკვრით იქმნეს დასჯილი, რადგან თვით არ გაჩერდა, როდესაც დაინახა ასეთი უწყობა“.

ალექსანდრ მიხაილოვიჩის ძალზე დაუწყობა გულმა ფანცქალი. ეს სულ გულის ავადმყოფობის ბრალია. გულის ავადმყოფობა კი შედეგია მეტის მეტი ენერგიულ უსასყიდლო და უანგარო მუშაობისა საზოგადო ასპარეზზე.

— „ვა! ამაზე მეტი ასკარბლენიაც“ გინახავთ? ჩავჯექი კონკაში თუ არა და, ორი სტანცია არ

გავიარე, ამოვიდა ერთი ქალი და მარჯვენა მუხლზე ჩამომეჯდა და ერთი კაციც მარცხენაზე. ისეთი თავისუფლად კი ჩამოსკუპდენ, გეგონებოდა კრესლოებზე ზიანო! ერთს სკამზე თორმეტი კაცი ვიჯექით, აი! „დასაბდინ ვარაცკოი გალავა“, არ შეიძლება რომ ასეთი სლუჩიები აღარ მოხდეს? სპაჩტენიემ ვას კარავეტ“.

ალექსანდრ მიხაილოვიჩის განაჩენი:

— ტრამვაის დირექტორს: ყველა ქალაქის ვაგონები, ვატმანები და კონდუქტორები ჩამოყენებულ იქმნან ორი დღით სამსახურიდან, რადგან დაუშვეს ასეთი არა სასიამოვნო მოვლენა. რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, რომ ზედმეტი\*) „პასაჟირს“ არა მუხლებზედ, არამედ კისრებზე. დააჩქარეთ მომზადება ჩემგან გამოგონილ უნაგირებისა „პასაჟირთა კისრებისათვის“.

ალექსანდრ მიხაილოვიჩი საბოლოოდ აღელდა და ამიტომ დანარჩენ საჩივრებს ყური აღარ ათხოვა და კალათში ჩაუძახა. დასასჯელიც აღარავინ ჰყავდა ჯერჯერობით, თორემ კიდევ გამოიტანდა რომელიმე განაჩენს.

გზუული.



\*) „შეშაკის მატრახის“ რედაქცია აცხადებს, რომ ეს ზედმეტი პოსაჟირები ბ-ნნი ათაბეგოვი და სვეშნიკოვი არა ყოფილან. ეს ამბავი უფრო აღრე მოხდა, ვიდრე ვგ ზემოხსენებული პირნი მიიღებდენ თავის თავზე ტრამვაის საქმეთ-მართვა გამგეობას და კონდუქტორთა ცემა-ტყეპას.

## ლ ა გ ლ დ ე ხ ი.

(გამოცანა).

პატარა, ცუგრუმელა,  
ეშხით მუდამ მთვრალია.  
მის „ნაურსკის“ გოგმანით  
მუდამ სტკებება „ბალია“.

„უკაველოროთ“ ვერ დგება  
გინდ აილოს ვალია,  
რა ჰქნას, არ ემტყუნება  
„პოჟოლუსტა“ ქალია!

(მაგრამ ვშიშობ ბნელ პარკში  
არ დაიმსოს თვალია,  
თორემ ვეღარ უშველის  
ვერც „ჟორჟიკას“ ხმალია).

ქეც „არტიტობს“, პატარა,  
ჩვენი სცენის „თვალია“,  
მხოლოდ რუსულ დრამებში,  
(ქართულზე კი მწყრალია).

მაგრამ არც ეს ეძრახვის  
უყვარს „რუსის ბუზიკა“  
ამიტომაც იძახის:  
„ჟალ“ რომ ვარო „გრუზინკა“

სამკითხველოს საქმეზე  
ზრუნვაც მისი ვალია,  
მაგრამ ახლოც არ მიდის,  
მისთვის სადღა სცალია;

გამოიცან მკითხველო,  
ლაგოდების თვალია?  
მე ესტქვი და გაფათავე...  
მსჯავრი შენი ვალია.

## ანოკო და ღარიკო

(სცენა ხაშურისთვის?)

— გამარჯობა ღარიკო!  
— ანიკოს გაუმარჯოს!  
— რაფა დაგფხრეწია, ცავ, ლავშები რა დეგე-  
მართა?)

— რაი და აქაური ცენის მოყვარების კისე-  
რის მოწირეხება. ისე გეიარა ბეჩა თელმა ზაფხულ-  
მა, რომ ერთი ხეირიანი წამორდგენა არ დუუდ-  
გამთ. სულ რაცხა სასიცილო კამენდებით ასე და-  
ვალლიტეს ცხვირ-პირი. შენ რეიზა არ დეიარები  
გოგოვ?

— ვაი ბეჩა. იქინე სიარული კი არა დღე და ღა-  
მე გაჯგუფული მაქვს სახლი რუსის სალდათებით.

— სალდათებს შენთან რა უნდა?

— რაი და „ოტკა“. გამეიარს წინაზე თუარა,  
დაუძახებ:—რუსო ოტკა ხოჩიტ? „ხაჩუო“ მეტყვის.  
აბა წინიღამ ნელზა. სასედა უვიდაით, მეიარე ზადნი  
ხოდი... ზალზაი ნა ზაბორი მეთქი, ვეტყვი. შემუა  
შინ თუარა, დუუდგამ „ოლის“ ექვს შაურიან ოტკას  
და ისთე გამეიყლურქება, რომ სულ ხოშკაკალი-  
ვით ისვრის სამ-სამ მანათიანებს.

— ვოი შენ დეილუპე საცხა! ნახვამდის.

— აბა ხალხის გაღლეტა მარტვე აქაურმა ვაქ-  
რებმა იციან გგონია შენ თუ?!... ნახვამდის.

აღძამია.



# ფოტო

**იასონ ციცილიას.** თქვენ იწერებით: ვაგზავნი ამ ლექსებს და კარგი იქნება თუ მაცნობებთ მათ ღირსება-ნაკლოვანობასა“. მოვიყანოთ ნიმუშები:


**კრიმანჭული.**

„ჩამოვიარე ბორჯომზე  
შველ ფოშტის კანტორაში  
ჩინონიკებს ჩხუბი ქონდათ  
საქმე იყო, როგორც ქაში


ტირი, ლაღჰნ, ლაღჰნ, ლაღჰნ!“

უნდა გამოგიტყდეთ, რომ თუ არ ეს რაღაც „ტირი ლაღჰნ, ლაღჰნ ლაღჰნ“, თქვენს პოეტობაზე ყოველივე იმედი დამეკარგებოდა. თუმცა მიუხედავად ამისა „ღირსებაზე“ ცოტა უკაცრავათ ვართ, ხოლო „ნაკლულევანობა“ რამდენიც გნებავთ.

**ოხმან-აღას.** თქვენ ალბათ არ იცით, რომ ქვეყნად არსებობს ცენზორი, რომელიც სინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას.



## ფოსტის კანტორა თელავში.



თელავი მუშათა საკითხშიაც ერთობ დაწინაურებულია სხვა აგარაკებთან შედარებით. ზედმეტი შრომა აქ არ არსებობს. ყველას აქვს საკმაო თავისუფალი დრო, რომ შრომის შემდეგ დაისვენოს. განსაკუთრებით ეს ითქმის თელავის ფოსტის კანტორაზე. მთელი რაზმი მოხელეებისა ფუსფუსებს კანტორაში და თვალის დახამამებაში ასრულებს ყოველგვარ თხოვნას. წერილების დაგვიანება, ან რიგის ცდა აქ არც იციან რა არის. მაგრამ რაღა ბევრი გავაგრძელოთ, სურათი თითონ ლაპარაკობს ამის შესახებ.